# ასოციაცია “ათინათი”

## 2023 წლის ანგარიში

მისამართი:

საქართველო, ზუგდიდი,
2100, რუსთაველის 94

საკონტაქტო:

+995 571 53 88 28
office@atinati.org

**„ათინათი“ შენი ნათელი მომავლისთვის**

ასოციაცია „**ათინათი**“ შეიქმნა 1995 წელს. ის პირველი საზოგადოებრივი ორგანიზაცია იყო ქალაქ ზუგდიდში და დღემდე წარმატებულად ფუნქციონირებს.

საზოგადოების მაღალი ნდობა, რომლის მოპოვებაც „**ათინათმა**“ შეძლო, რამდენიმე ფაქტორითაა განპირობებული: მაღალკვალიფიციური კადრები, კეთილგანწყობილი გარემო, ძლიერი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, ხარისხითა და ობიექტურობით გამორჩეული საკუთარი მედია საშუალება (**რადიო „ათინათი“ FM 105.9)**. ორგანიზაციის მდგრადობის დასტურია 200–ზე მეტიწარმატებულად განხორციელებული პროექტი და შესაბამისად, ათასობით კმაყოფილი და მადლიერი ადამიანი.

„**ათინათის**“ მისიაა: განათლებული, ტოლერანტი და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა. ამისათვის, „ათინათი“ ახორციელებს მოქალაქეთა კომპეტენტურობის ამაღლების, უფლებების დაცვის, შესაძლებლობების გაზრდის და ეკონომიკური გაძლიერების ხელშემწყობ პროგრამებს. ხელს უწყობს დასავლეთ საქართველოში სამოქალაქო საზოგადოების განვითარებას და მოსახლეობის ინფორმირებულობას. „**ათინათი**“ განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს მოწყვლადი ჯგუფების, მათ შორის დევნილი (რეგიონის სპეციფიკიდან გამომდინარე) მოსახლეობის, ქალების და ახალგაზრდების გაძლიერებას.

ამჟამად „**ათინათი**“ მუშაობს შემდეგი მიმართულებებით:

**1.სამოქალაქო საზოგადოების განვითარება:**
**2.რეგიონის მოსახლეობის ეკონომიკური გაძლიერების ხელშეწყობა**
**3.საზოგადოების ინფორმირებულობის ხელშეწყობა:**
**„ათინათის“ გუნდში შედიან პროფესიონალი ტრენერები, ფსიქოლოგები, სოციალური მუშაკები, ჟურნალისტები, ახალგაზრდული მუშაკები და მოხალისეები**.

„**ათინათის**“ გააჩნია მკვეთრად განსაზღვრული ფასეულობები, რომლებსაც ეფუძნება მის ყოველდღიური საქმიანობა:

- **პროფესიონალიზმი;**
- **ერთმანეთის აზრის პატივისცემა;**
- **სამართლიანობა;**
- **ტოლერანტობა;**
- **გამჭვირვალობა და ღიაობა;**
- **ეროვნული ტრადიციების პატივისცემა და ევროპული ფასეულობების დამკვიდრება;**

"**ათინათელები**" 28 წელია მუშაობენ ამ ღირებულებებით და ცდილობენ შეცვლონ ცხოვრება უკეთესობისკენ.

OFFICE@ATINATI.ORG

OFFICE@ATINATI.ORG

**ათინათი** - არაკომერციული, არასამთავრობოორგანიზაცია, რომლის ძირითადი მიზანია მედეგი, ტოლერანტული და ინკლუზიურისამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მშვიდობიანი და კონსტრუქციულიდიალოგისა და დემოკრატიული ღირებულებების დამკვიდრების გზით.

ამ მიზნის მისაღწევად, 1996 წლიდან დღემდე, აქტიურად ვმუშაობთ ორგანიზაციული მართვისა და განვითარების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების შესაძლებლობების გაზრდის, ახალგაზრდების განვითარებისა და ეროვნული ინტეგრაციის გაძლიერების საკითხებზე. ამ პროცესში, ჩვენი წამყვანი საქმიანობაა სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის, მათ უნიკალურ მოთხოვნებსა და საჭიროებებზე სრულად მორგებული, სხვადასხვა სოციალური, საქმიანი თუ პიროვნული უნარ-ჩვევების განვითარებაზე მიმართული, მაღალ ხარისხიანი სატრენინგო და საკონსულტაციო მომსახურების შეთავაზება.

ჩვენ ვმუშაობთ საზოგადოებრივ და სათემო ორგანიზაციებთან და საინიციატივო ჯგუფებთან, ახალგაზრდებთან, ბიზნეს კომპანიებთან, საჯარო მოხელეებთან და ყველასხვა დაინტერესებულ ჯგუფთან, ვისაც სურს გაიუმჯობესოს ორგანიზაციული მართვის, ლიდერობის, სტრატეგიული დაგეგმვის, კონფლიქტების მართვის, პიროვნებათშორისი კომუნიკაციის, საჯარო გამოსვლებისა და პრეზენტაციების, მოლაპარაკების წარმოების, მომხმარებელთან ურთიერთობის, სამოქალაქო ინტერესების დაცვის და კიდევ სხვა მრავალი პიროვნული თუ საქმიანი უნარ-ჩვევა.

OFFICE@ATINATI.ORG

# პროექტი: ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება

**პროექტი ხორციელდება აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს პარტნიორობა მეტი გამძლეობისა და მედეგობისთვის პროგრამის ფარგლებში, გაეროს განვითარების პროგრამის და გაეროს ბავშვთა ფონდის მიერ და ამერიკელი ხალხის დახმარებით აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოსთან ერთად.**

2023 წელს (ივნისი-დეკემბერი) ორგანიზაცია "**ათინათის**" საპროექტო ჯგუფმა განახორციელა პროექტი "**ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება**".

**პროექტის მიზანია:**

- სამეგრელოს მუნიციპალიტეტის 10 (აფხაზეთის N11 საჯარო სკოლა, ოდიშის საჯარო სკოლა, ჩხორიის საჯარო სკოლა, კახათის საჯარო სკოლა, რუხის საჯარო სკოლა, შამგონას საჯარო სკოლა, ახალსოფლის საჯარო სკოლა, ახალაბასთუმნის საჯარო სკოლა, დიდინეძის საჯარო სკოლა, დარჩელის საჯარო სკოლა) სკოლაში ახალგაზრდული კლუბების დაარსება და ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- ახალგაზრდული ჯგუფების შესაძლებლობების გაზრდა, მათი დამოუკიდებელი აზროვნების განვითარების, ინფორმაციის ანალიზის, მონაცემების გენერირებისა და კვლევის უნარ-ჩვევების გამომუშავების გზით.
- ადგილობრივი თემის წევრებისა და იძულებით გადაადგილებულ პირთა სამოქალაქო განათლების დონის ამაღლება.

**პროექტის ძირითადი ამოცანებია:**

- ახალგაზრდების ინტელექტუალური და სოციალური უნარების განვითარება;
- სასკოლო თემატური კლუბების შექმნა და ფუნქციონირების ხელშეწყობა;
- მოსწავლეთა ინიციატივების წახალისება და მხარდაჭერა;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა;
- სკოლასა და თემს შორის თანამშრომლობის გაძლიერება.

ამ მიზნებისა და ამოცანების მისაღწევად 10 პარტნიორ სკოლაში შეიქმნა ოთხი მიმართულების სასკოლო თემატური კლუბი: საბუნებისმეტყველო მეცნიერებები, ჯანსაღი ცხოვრება და ეკოლოგია, ინგლისური ენა და სამოქალაქო განათლება.

აღნიშნული თემატური კლუბების მიერ განხორციელდა საგანმანათლებლო და შემეცნებითი აქტივობები.

2023 წლის განმავლობაში ჩატარდა სულ 400 კლუბური შეხვედრა და განხორციელდა 60-ზე მეტი სასკოლო ინიციატივა თემატური კლუბის ლიდერი მასწავლებლებისა და კლუბის წევრთა მიერ.

მათ შორის:

- მედიაწიგნიერების სკოლა პარტნიორი სკოლის 20 მოსწავლისთვის;
- 10 თანატოლგანმანათლებელთა ტრენინგები ლიდერი მოსწავლეების მიერ პარტნიორი და არაპარტნიორი სკოლის მოსწავლეებისთვის;
- 9 ტრენინგი მოსწავლეებისთვის შემდეგ თემებზე: ბიზნეს კომუნიკაცია, მდგრადი განვითარების მიზნები, მედიაწიგნიერება, მედიაპროდუქტების შექმნის პრაქტიკული უნარები; მეწარმეობა – *AflaToun/AflaYouth* მეთოდოლოგიის გამოყენებით, მშვიდობის მშენებლობა – *Fairtogether* მეთოდოლოგიის გამოყენებით, გენდერული თანასწორობა, ძალადობა და ბულინგი;

- 4 ტრენინგი მასწავლებლებისთვის შემდეგ თემებზე: ახალგაზრდული კლუბების ფუნქციონირებისა და მუშაობის სპეციფიკა, პრეზენტაციისა და კომუნიკაციის ტექნიკა, მშვიდობის მშენებლობა და კონფლიქტების მოგვარება, კარიერის დაგეგმვა და პროფესიული ორიენტაცია;

- 8 შეხვედრა მოწვეულ სტუმართან, მათ შორის ახალგაზრდა ლიდერებთან, მეწარმეებთან, მწერლებთან, სპორტსმენებთან და ა.შ.

OFFICE@ATINATI.ORG

- 5 სასწავლო ვიზიტი ზუგდიდში არსებულ სხვადასხვა ორგანოში, მათ შორის „აწარმოე საქართველოში“ ოფისში, სოციალურ საწარმო „მეგობარში“, ზუგდიდის ტექნოპარკში, ზუგდიდის ბოტანიკურ ბაღში და ახალგაზრდულ სათათბიროში;

- 7 რადიო გადაცემა, რომლის დაგეგმვაში და განხორციელებაში კლუბის წევრების მონაწილეობენ;

- 5 გაცვლითი ვიზიტი სკოლებს შორის, რომლის მიზანია სკოლებს შორის მეტი ურთიერთობა, საერთო იდეების განხილვა და მოსწავლეთა ინტეგრაცია.

პროექტის ფარგლებში განხორციელებულმა აქტივობებმა ახალგაზრდებში და მასწავლებლებში პოზიტიური ცვლილებები გამოიწვია:

- გაიზარდა მოსწავლეთა მოტივაცია და ჩართულობა სასკოლო აქტივობებში;
- გაუმჯობესდა მოსწავლეთა კრიტიკული და ანალიტიკური აზროვნების უნარები;
- განვითარდა მოსწავლეთა ლიდერული და გუნდური მუშაობის უნარ-ჩვევები;
- გაძლიერდა მასწავლებელთა პროფესიული კომპეტენციები;
- გაიზარდა სკოლის როლი თემის განვითარებაში.

# წარმატების ისტორია

## ანანო თორდია - ჩხორიის საჯარო სკოლა

მეამაყება, რომ ჩემს სკოლაში საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კლუბი ჩამოვაყალიბე. კლუბი პროექტის **“ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება”** ფარგლებში შევქმენით და მან სრულიად ახლებურად დაგვანახა ის საგნები, რაც მანამდე ცოტა არ იყოს მოსაწყენად გვეჩვენებოდა. პროექტი ასევე ითვალისწინებდა სხვადასხვა თემებზე ტრენინგს, საინტერესო ადამიანებთან შეხვედრებს, სასწავლო ვიზიტებს და სხვა სკოლებში გაცვლით შეხვედრებს. შედეგად, დღეს ბევრად თამამი და კომუნიკაბელური ვარ, თავისუფლად შემიძლია გამოვთქვა საკუთარი აზრი. მომემატა ძალა და მოტივაცია, რომ ვიყო სრულად რეალიზებული და გავხდე საზოგადოების სასარგებლო და აქტიური წევრი,“ ამბობს ანანო თორდია, ჩხორიის საჯარო სკოლის მოსწავლე.

პროექტი “ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება” განხორციელდა ასოციაცია ათინათის მიერ, „პარტნიორობა მეტი გამძლეობისა და მედეგობისთვის პროგრამის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა და გაეროს ბავშვთა ფონდი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

"I am proud to have established a science club in my school as part of the project *"Youth Involvement and Development"*. The club gave us a completely new look at STEM subjects which sometimes seemed boring to us. This project also included training sessions on various topics, meetings with interesting people, study visits and exchange meetings at other schools. As a result, today I am much active and communicative, I can express my opinion freely. I have gained strength and motivation to be fully realized and become a useful and active member of our society," says Anano Tordia, a student of Chkhoria public school.

The project was implemented by the *Association Atinati in partnership with the UNDP Georgia and UNICEF, supported by the USAID/Georgia*

## წარმატების ისტორია

### წარმატების ისტორია
**ნინი მესხია - ოდიშის N1 საჯარო სკოლა**

“ბოლოთვეებში ჩემი და ჩემი სკოლის ცხოვრება მნიშვნელოვნად შეიცვალა. ჩემს სკოლაში ჩამოვაყალიბე სამოქალაქო განათლების კლუბი. კლუბის წევრებთან ერთად ჩავატარეთ შეხვედრები და საჯარო ლექციები, რამაც მასწავლა კრიტიკული აზროვნება. გავხდი უფრო კომუნიკაბელური, თავდაჯერებული და მოტივირებული.
მიღებული გამოცდილება ჩემთვის ძალიან ძვირფასია: საკუთარ თავში აღმოვაჩინე ახალი უნარები, რომელთა განვითარებაც მომავალში ჩემი მიზნების მიღწევაში ძალიან დამეხმარება.”ამბობს ნინი მესხია, ოდიშის #1 საჯარო სკოლის მოსწავლე და პროექტის „ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება“ მონაწილე.

პროექტი “ახალგაზრდების ჩართულობა და განვითარება” განხორციელდა ასოციაცია ათინათის მიერ, „პარტნიორობა მეტი გამძლეობისა და მედეგობისთვის პროგრამის“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს გაეროს განვითარების პროგრამა და გაეროს ბავშვთა ფონდი, აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით.

"My life and life of my school has changed significantly in recent months. I formed a civic education club in my school. Together with the club members, we held meetings and public lectures, which taught me critical thinking. I became more communicative, confident and motivated.
The experience I gained is very valuable to me: I discovered new skills in myself, the development of which will help me to achieve my goals in the future," says Nini Meskhia, a student of Odishi Public School #1 and a participant of the "Youth Engagement and Development" project.

*The project was implemented by the Association Atinati in partnership with the UNDP Georgia and UNICEF, supported by the @USAID/Georgia*

OFFICE@ATINATI.ORG

# USAID პროგრამა „ერთიანობა მრავალფარევნობაშია“

**პროგრამას ახორციელებს საქართველოს გაეროს ასოციაცია, აშშ-ის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ფინანსური მხარდაჭერით.**

2022 წლის 1 ოქტომბრიდან „**ათინათის**“ გუნდი ახორციელებს *USAID*-ის პროგრამას **"ერთიანობა მრავალფეროვნებაშია".** ამ პროგრამის ფარგლებში ჩამოყალიბდა ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრი, რომელიც აერთიანებს 14-29 წლის ახალგაზრდებს ზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან. ცენტრის ფუნქციონირების მიზანია ახალგაზრდების გაძლიერება, სასიცოცხლო და დასაქმებისთვის საჭირო უნარების განვითარება სხვადასხვა ტრენინგებისა და ვორკშოპების მეშვეობით. ცენტრი ეხმარება ახალგაზრდებს ახალი შესაძლებლობების აღმოჩენაში და მათ პროფესიულ განვითარებაში.

2022 წლის 1 ოქტომბრიდან - 2023 წლის 30 სექტემბრის ჩათვლით ცენტრში გაწევრიანდა 120 სოფელში და ქალაქში მცხოვრები ახალგაზრდა. ამ ახალგაზრდების მიერ განხორციელდა 59 აქტივობა, რომლებშიც მონაწილეობა მიიღო 1959-მა ბენეფიციარმა (მამაკაცი: 686, ქალი: 1273). პროგრამის მიზნების მისაღწევად ჩატარდა შემდეგი აქტივობები:

- ტრენინგები - ახალგაზრდების განვითარებისათვის საჭირო უნარების სწავლება, როგორიცაა ეფექტური კომუნიკაცია, ლიდერობა, დროის მართვა და ა.შ.;
- პრაქტიკული სესიები, რომლებიც ახალგაზრდებს ეხმარება შეძენილი თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოიყენონ;
- შეხვედრები მოწვეულ სტუმრებთან და ქსელის შექმნა - ახალგაზრდებს ეძლევათ შესაძლებლობა, შეხვდნენ და ითანამშრომლონ სხვადასხვა სფეროს წარმომადგენლებთან, რაც ხელს უწყობს მათი პროფესიული ქსელის განვითარებას;
- მცირე გრანტები - მონაწილეებს აძლევს შესაძლებლობას განახორციელონ სოციალური პროექტები, რომლებიც მათ საზოგადოებაში პოზიტიურ ცვლილებებს მოუტანს. როგორიცაა: გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილების, განათლების გაუმჯობესების ან გენდერული თანასწორობის მიმართულებით;

OFFICE@ATINATI.ORG

- გაცვლითი პროგრამები - რეგიონთაშორისი გაცვლითი პროგრამის მიზანია საქართველოს სხვადასხვა რეგიონის ახალგაზრდებსა და საქართველოში მცხოვრებ ეთნოსებს შორის ინტეგრაციის გაძლიერება; ახალგაზრდების სამოქალაქო და მოხალისეობრივი აქტივიზმის გაძლიერება და თანამშრომლობისა და მეგობრული ურთიერთობების ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

- ახალგაზრდა ევროპელი ელჩები - პროგრამა ხელს უწყობს საქართველოს რეგიონებში ახალგაზრდების ჩართულობას ფართომასშტაბიან საინფორმაციო კამპანიებში, რათა საზოგადოებას მივაწოდოთ ინფორმაცია იმ სიკეთეებზე და სარგებელზე, რასაც საქართველოს ევრო-ატლანტიკური ინტეგრაცია მოუტანს. ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის 2 მონაწილეს მიეცა შესაძლებლობა მონაწილეობა მიეღო ტრენერთა ტრენინგი და თვითონვე ჩაეტარებინათ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლის სკოლაში ტრენინგები ევროკავშირის თემაზე;

- ჯანმრთელობის ხელმისაწვდომობის ახალგაზრდული პროგრამა - პროგრამის მიზანია მონაწილეებს მიაწოდოს ინფორმაცია პრევენციული მედიცინის პრინციპებზე, ვაქცინაციის და დაავადებათა სკრინინგის აუცილებლობაზე და სახელმწიფო პროგრამებზე, რომელთა საშუალებით მოსახლეობას შეუძლია აღნიშნული სერვისების უფასოდ მიღება. ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის 4-მა წევრმა მენტორებთან ერთად, სათემო შეხვედრები ჩაატარეს ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფლებში და სხვადასხვა ახალგაზრდულ კლუბებში;

- თანატოლგანმანათლებელთა პროგრამა - ეფექტური საშუალებაა, რომ ახალგაზრდებმა ერთმანეთისგან ისწავლონ და თანატოლებს გაუზიარონ ცოდნა და გამოცდილება. ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის 6-მა წევრმა სხვადასხვა სკოლის მოსწავლეებთან ჩაატარა თანატოლთა განათლების ტრენინგები ისეთ თემებზე, როგორიცაა: ტოლერანტობა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, ბულინგი და სხვა;

- გაეროს მოდელირება - გაეროს მოდელირება არის აკადემიური როლური თამაში, რომელიც გულისხმობს ახალგაზრდების მიერ სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატის როლის მორგებას გლობალური პრობლემების განხილვისა და გადაჭრის მიზნით.

- ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის ორი მონაწილე გადამზადდა მენტორად, რომლებმაც 18 ახალგაზრდასთან იმუშავეს 4 თვის განმავლობაში, ასწავლეს ტექნიკები, განაცხადების წერა, პროცესი და ჩაატარეს მოდელირება. გაეროს მოდელირებამ ახალგაზრდებს განუვითარა ეფექტური კომუნიკაციის, ლიდერობის, ჯგუფური მუშაობის, კრიტიკული აზროვნების უნარები.

- სათემო და ახალგაზრდული აქტივობები - ცენტრის ახალგაზრდების ინიციატივით და ორგანიზებით ჩატარდა სხვადასხვა აქტივობა, როგორიცაა საქველმოქმედო აქციები, სპორტული აქტივობები, დებატები, ინტელექტუალური თამაშები, „ცოცხალი ბიბლიოთეკა“, “City Game” და სხვა.

აღნიშნულ აქტივობებში ახალგაზრდების მაღალმა ჩართულობამ, როგორც მონაწილედ ასევე დაგეგმვის პროცესში, ცენტრის წევრებში გააუმჯობესა პრობლემის გადაჭრის, კომუნიკაციის, თანამშრომლობის, ლიდერობის და გადაწყვეტილების მიღების უნარები, რაც მათ შესაძლებლობას აძლევს უკეთესად გაუმკლავდნენ ცხოვრებისეულ გამოწვევებს.

OFFICE@ATINATI.ORG

## წარმატების ისტორია

### თინათინ ქვარცხავა
### ზუგდიდის N2 საჯარო სკოლა

უკვე მეორე წელია რაც *USAID* - ის პროგრამის **,,ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“** ფარგლებში არსებული ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის, რომელიც „**ათინათში**“ ფუნქციონირებს, წევრი ვარ. ახალგაზრდულ ცენტრში ყოფნით, დიდი გამოცდილების და ცოდნის მიღება შევძელი. ვმონაწილეობდი რეგიონთაშორისი გაცვლითი პროგრამაში ჩემს ორ თანატოლთან ერთად. კერძოდ, ბათუმის ახალგაზრდულ ცენტრის მონაწილეებთან სამი დღის განმავლობაში თემატური შეხვედრები და აქტივობები ჩავატარეთ.

ამავე წლის, ივლისის თვეში კი მომეცა შესაძლებლობა ერთკვირიან საზაფხულო სკოლაში წავსულიყავი, სადაც გვქონდა თემატური სკოლები, სხვადასხვა შემეცნებით-გასართობი აქტივობები, რამაც მომცა მოტივაცია ჩემს ცენტრში მეტი აქტივობა დამეგეგმა.

ამის შემდეგ, ჩვენს ცენტრში რამდენიმე ქვე-კლუბი დაარსდა და ცენტრის სხვა წევრებმა ადვოკატირების კლუბის ლიდერად ამირჩიეს, რაც ნამდვილად საპასუხისმგებლო და ახალი გამოწვევა იყო ჩემთვის. ერთია როცა აქტივობებში იღებ მონაწილეობას, მეორე კი როცა ლიდერობას უწევ ჯგუფის წევრებს.
ასევე, რამდენიმე თვის წინ, გავხდი მრავალფეროვნების ელჩი. ზუგდიდის ახალგაზრდული ცენტრის ორმა მონაწილემ ტრენერთა ტრენინგი გავიარეთ. ზუგდიდში ჩამოსვლის შემდეგ, აქტიურად ვატარებთ შეხვედრებს ტოლერანტობა და მრავალფეროვნების თემაზე სხვადასხვა სახის საგანმანათლებლო დაწესებულებებში. ჩემი ცოდნის გაზიარება სხვა თანატოლებისთვის ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი გახდა, ეს მაძლევს შესაძლებლობას მეტი ადამიანი გავიცნო ჩემს რეგიონში, მოვისმინო მათი პრობლემები და მოსაზრებები ტოლერანტობაზე. ერთად ვმსჯელობთ და სამომავლო გეგმებს ვადგენთ თუ რა ცვლილებები შეიძლება მოვახდინოთ უკეთესი მომავლისთვის.

ახალგაზრდული ცენტრი ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი ადგილია, რადგან სწორედ აქ დავიწყე საკუთარი თავის განვითარება და გამოვიმუშავე ის უნარები, რაც დღეს ძალიან მეხმარება ცხოვრებისეული გამოწვევების დაძლევაში. ეს არის ადგილი, სადაც ჩემი და სხვა ჩემი თანატოლების იდეების განხორციელების შესაძლებლობა გვაქვს. ასევე ძალიან მეამაყება, რომ ყველა რეგიონიდან, მათ შორის, ახალციხე, დმანისი, კახეთი, მარნეული და სხვა, მყავს მეგობრები.

# „სამოქალაქოსაზოგადოების ინიციატივა: მდგრადი, ღია და ანგარიშვალდებული სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები საქართველოს განვითარებისთვის“

OFFICE@ATINATI.ORG

პროექტის ფარგლებში „**ათინათში**“ ფუნქციონირებს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბი, რომლის მიზანია, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოება როგორც დამოუკიდებელი, მდგრადი, გამჭვირვალე და ანგარიშვალდებული აქტორი მთელი საქართველოს მასშტაბით, მათ შორის სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონში.

პროექტის განხორციელების სრული პერიოდი შეადგენს 4 წელს - 2021-2024 წწ. 2023 წელს სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონულმა ჰაბმა მიზნის მისაღწევად განახორციელა შემდეგი აქტივობები და მიღწეულ იქნა შედეგები, კერძოდ:

- კონსულტაციები, მათ შორის ონლაინ, რომლითაც 18 დამწყები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების/საინიციატივო ჯგუფის წარმომადგენელმა ისარგებლა, რის შედეგადაც მომხმარებელმა აიმაღლა ინფორმირებულობის დონე ორგანიზაციის განვითარებისთვის საჭირო საკითხებში, მათ შორის, სარეგისტრაციო პროცედურა, სტრატეგიული გეგმის შემუშავების პრინციპები, ფონდების და მოხალისეების მოზიდვის სტრატეგია და სხვა. გარდა ამისა რეგიონული ჰაბის ფეისბუქ გვერდზე სისტემატურად, მყისიერად პოსტების/ინფორმაციის დადებით და წერილების დაგზავნით დაინტერესებულ პირებს გაეზარდათ ხელმისაწვდომობა სხვადასხვა შესაძლებლობებზე (ტრენინგები, სემინარები, საგრანტო კონკურსები და სხვა)
- სამოქალაქო საზოგადოების სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის გაღრმავებისა და მათ შორის გამოცდილების გაზიარების ხელშეწყობის მიზნით, ორგანიზებულ იქნა 1 Job Shadowing-ი რეგიონს გარეთ, რითაც ნაკლებად გამოცდილი ორგანიზაციის წარმომადგენელს შესაძლებლობა მიეცა გაევლო სტაჟირება გამოცდილ ორგანიზაციაში, რითაც ამაღლებულ იქნა მისი კომპეტენციები გარკვეულ პოზიციაზე
- გამოცდილების გაზიარების მიზნით გაიმართა 3 ონლაინ სასწავლო ვიზიტი (2 ქართულ და 1 პოლონურ) სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებში, რომლებსაც 37 ორგანიზაციის წარმომადგენელი, მათ შორის გალში მოქმედი დაესწრო სადაც მონაწილეებმა მიიღეს მათთვის ღირებული ინფორმაცია, მათ შორის მასპინძელი ორგანიზაციების ერთგვარი „წარმატების რეცეპტები“;
- ამაღლდა რეგიონისმოსახლეობის, მათშორის სამოქალაქოსაზოგადოების ორგანიზაციების ინფორმირებულობის დონეაქტუალურ დამნიშვნელოვან თემებზეფეისბუქ-პლატფორმაზე 4 ღია ფორმატისჩართვით, რომელთა მსმენელთა/ მნახველთა რაოდენობამშეადგინა 3 258 ადამიანი. ასევე მომზადდა 31 გადაცემა რადიო„**ათინათის**“ ეთერში;

- რეგიონის 3 მუნიციპალიტეტში გაიმართა 15 სამუშაო შეხვედრა 223 ახალგაზრდასთან, შემუშავდა 12 სათემო საჭიროებებზე აგებული ინიციატივა, რითაც მოხდა მათში სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართვა. ამ გარემოებამ ხელი შეუწყო მულტისექტორული თანამშრომლობითი პრაქტიკის განვითარებას. ჩატარდა 4 შეხვედრა, რომელსაც საერთო ჯამში 50 ადამიანი დაესწრო. შეხვედრებზე მოხდა მულტისექტორული თანამშრომლობის მნიშვნელობაზე ხაზგასმა, განსაკუთრებით სამოქალაქო საზოგადოებსა და ადგილობრივი თვითმმართველობას შორის თანამშრომლობაზე. გამოითქვა ახალგაზრდების მიერ წარდგენილი ინიციატივების მხარდაჭერის მზაობა.
- გაძლიერდა დამწყები სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების მოტივაცია 2023 წლის საუკეთესო სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონის მუნიციპალიტეტებში მოქმედი სამოქალაქო საზოგადოების კონკურსის ჩატარებით. კონკურსის შედეგად გამოვლინდა წლის საუკეთესო დამწყები ორგანიზაცია - „ზუგდიდის დამოუკიდებელოცხოვრების ცენტრი“, რომელიც დაჯილდოვდა სიმბოლური პრიზით და საკანცელარიო ნივთების ნაკრებით.
- 2 შეხვედრამ ხანდაზმულ მოხალისეებთან და სამოქალაქო აქტივისტთან, რომლებსაც 22 ადამიანი დაესწრო მოხდა მოხალისეობის ინსტიტუტის პოპულარიზება და მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობის გაძლიერების აღნიშვნა, რამაც ახალგაზრდებში საზოგადოებრივი პროცესებში ჩართვის მიმართ დამოკიდებულება პოზიტიურად შეცვალა.
- შეიქმნა სისტემატურად განახლებადი, ყველასთვის ხელმისაწვდომი, რეგიონში მოქმედ სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების და სათემო კავშირების მონაცემთა ბაზა. 2023 წლის მონაცემებით რეგისტრირებულია 109 ორგანიზაცია.
- გარდა ამისა სამეგრელო-ზემო სვანეთის რეგიონული ჰაბი პროექტში ჩართული კონსორციუმის წევრი ორგანიზაციების მიერ დაგეგმილი აქტივობების მხარდაჭერას ახორციელებდა, კერძოდ, საორგანიზაციო საკითხების მოგვარება, ინფორმაციის მყისიერი გავრცელება და სხვა.

**პროექტის საერთო ბიუჯეტი შეადგენს 60 000 ევროს. პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და კონრად ადენაუერის ფონდის ფინანსური მხარდაჭერით.**

OFFICE@ATINATI.ORG

OFFICE@ATINATI.ORG

# USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა ოქტომბერი 2022-სექტემბერი 2023

„**ათინათი**“-ს გუნდმა განახორციელა „**USAID-ის სამოქალაქო განათლების პროგრამა**“ სამეგრელო - ზემო სვანეთში. წლის მანძილზე უნდა დაარსებულიყო 74 კლუბი პროგრამის პარტნიორ სკოლებში. კლუბები დაარსდა, თუმცა ყველგან ერთნაირად აქტიურად ვერ ფუნქციონირებს.
საკლუბო მუშაობა ახალი პარტნიორი სკოლებისთვის ცოტა უცხო იყო, ამიტომ პარტნიორი ორგანიზაციის მიერ მათთვის ტარდებოდა კონსულტაციები საკლუბო მუშაობის პრინციპებზე, კლუბის წესდებასა და სამუშაო გეგმის შესახებ ეწყობოდა საინფორმაციო-საკონსულტაციო შეხვედრები.
სასწავლო წლის მანძილზე სამოქალაქო კლუბების მიერ განხორციელდა 150-მდე აქტივობა, რომელთა თემატიკა განსხვავებული იყო ერთმანეთისგან: კიბერბულინგი, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მეწარმეობა, არჩევნები, მეგრული ვაზი, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, წიგნიერება, ქალთა უფლებები და გენდერული თანასწორობა, ბულინგი, ქალთა გაძლიერება და სხვა.

მოსწავლეთა თვითმმართველობების მიერ განხორციელდა 148 პროექტი, რომელთა თემატიკა განსხვავებული იყო ერთმანეთისგან: არჩევნების როლი და მნიშვნელობა, სასკოლო პრობლემების მოკვლევა, ჯანსაღი ცხოვრების წესი, მშობელთა ჩართულობის ხელშეწყობა, ადამიანის უფლებები, გენდერული თანასწორობა და სხვა.

**მოსწავლეთა სხვადასხვა უწყებებთან თანამშრომლობის შედეგად მოგვარდა 20 სასკოლო და სათემო პრობლემა, სკოლის ადმინისტრაციისა და გადაწყვეტილების მიმღები პირების ჩართულობით.**

OFFICE@ATINATI.ORG

- ჩატარდა 4 თემატური კამპანია სხვადასხვა თემაზე: "ევროინტეგრაციის დადებით მხარეები და საქართველოს ვალდებულება", „არჩევნები და მე“. „სასკოლო თვითმმართველობა და მისი როლი“, კამპანია პროფორიენტაციის შესახებ. ჯამში კამპანიაში 200-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა;

- პროექტის ფარგლებში სკოლა-ბიზნეს ფორუმი ჩატარდა 2022 წლის 8 ნოემბერს, ანაკლიაში. წარმოდგენილი იყო 17 პროექტი, საიდანაც დაფინანსდა 5; ღონისძიებაში მონაწილეობდა 10-მდე დიდი და რამდენიმე მცირე ბიზნესი. ღონისძიებაში ჯამში 200-ზე მეტმა ადამიანმა მიიღო მონაწილეობა;

- 15 მოსწავლემ სტაჟირება გაიარა რადიო „ათინათში“, ასოციაცია „ათინათში“ და განათლების სახლში;
- ჩატარდა 6 შეხვედრა საინტერესო სტუმართან. შეხვედრების თემატიკა იყო განსხვავებული და მოსწავლეების საჭიროებებზე მორგებული
- წლის მანძილზე განხორციელდა 9 სასწავლო ვიზიტი, რომელშიც ჯამში 120-ზე მეტმა მოსწავლემ მიიღო მონაწილეობა;Bottom of Form

# „უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის (SECTORs)“

OFFICE@ATINATI.ORG

„**ათინათის**“- გუნდმა 2020-2023 წლებში განხორციელდა პროექტი„ **უნარები დასაქმებისა და თანამშრომლობისთვის - პერსპექტივები საქართველოს რეგიონებისთვის (*SECTORs*)“**, რომლის მიზანი იყო საზოგადოების მოწყვლადი ჯგუფების დასაქმების შესაძლებლობების გაუმჯობესება სექტორული პარტნიორობის წახალისების, სამეწარმეო განათლების შეთავაზებისა და ინოვაციური მიდგომების დანერგვის გზით, რათა მომხდარიყო წვლილის შეტანა პროექტის სამიზნე რეგიონების ეკონომიკურ განვითარებაში.

მიზნის მისაღწევად დაიგეგმა და განხორციელდა სხვადასხვა საინტერესო და სასარგებლო ღონისძიებები.

პროექტის დასაწყისში კვლევითი ორგანიზაცია *PMO Business Consulting* -ის მიერ ჩატარებულმა კვლევამ სამეგრელოს რეგიონის პერსპექტიულ დარგებად გამოავლინა სოფლის მეურნეობა და ტურიზმი. ჩვენს რეგიონში სწორედ ამ მიმართულებით წარიმართა მუშაობა.
პროექტის განმავლობაში 41 ახალგაზრდამ  პიროვნული განვითარების (ქოუჩინგის) პროგრამაში მონაწილეობით დაეფლა ემოციების მართვის ტექნიკას, რომელმაც გააუმჯობესა მათი თვითცნობიერება და თვითრეგულაცია. შეისწავლეს ურთიერთობების წარმატებით ჩამოყალიბების პრინციპები და განავითარეს აქტიური მოსმენის ტექნიკები. ასევე მიიღეს ინფორმაცია მოტივაციურ თეორიებზე და გააცნობიერეს საკუთარი მოტივაციური ფაქტორები.

დაიგეგმა და განხორციელდა არაფორმალური განათლების მიმართულებით სამი სასწავლო კურსი: მეფუტკრეობა, ხეხილის მოვლა/მოშენება და დეკორატიული მებაღეობა.  41-მა ადამიანმა ისწავლა ფუტკრის მოვლა-მოშენება, მათგან 2-მა მეფუტკრეობა გაიხადა შემოსავლის წყაროდ.

22-მა ადამიანმა შეისწავლა ხეხილის მოვლა-მოშენებისა და გასხვლის წესები. ხოლო 16 დაეუფლა დეკორატიული მცენარეების გამრავლებისა და მოვლის წესებს, და სხვლა-ფორმირების მეთოდებს.
შეგირდობის პროგრამამ პროექტში ჩართულ ადამინებს მისცა შესაძლებლობა გამოეცადათ საკუთარი თავი სხვადასხვა პროფესიაში, გაცნობოდნენ ახალ პროფესიას და განევითარებინათ არსებული უნარები. პროექტის ფარგლებში გათვალისწინებული 15 მონაწილის ნაცვლად შეგირდობის პროგრამით ისარგებლა 19-მა ადამიანმა.

პროექტის ფარგლებში გაიცა 6 სტარტაპ და 4 სტრატეგიული გრანტი, რომელმაც დახმარება გაუწია როგორც არსებულ, ასევე დამწყებ მეწარმეებს.
პროექტის ფარგლებში გაიცა 6 სტარტაპ და 4 სტრატეგიული გრანტი, რომელმაც დახმარება გაუწია როგორც არსებულ, ასევე დამწყებ მეწარმეებს. პროექტის ახალგაზრდული კომპონენტი განსაკუთრებით საინტერესო და სახალისო აღმოჩნდა. 10 ზუგდიდელ ახალგაზრდას 6 დღიან საზაფხულო სკოლაში მონაწილეობის შესაძლებლობა მიეცათ.

საინტერესო, შემეცნებითი და პიროვნული განვითარების აქტივობების გარდა საზაფხულო სკოლაში სტუდენტებს მიაწოდეს ინფორმაცია ალუმნი გრანტების შესახებ. შემოსული საგრანტო განაცხადებიდან შეირჩა და დაფინანსდა 2 საინტერესო პროექტი:

1. **„ძველი კოლხური ტრადიციების გაცოცხლება - ღუმ და ჭკიდი“** , რომლის მიზანი იყო მცენარეების - ღუმუ-სა და ჭკიდი-ს პოპულარიზაცია, ძველი კოლხური ტრადიციების და ავთენტური კერძების აღორძინება-განვითარება,
2. **„სამარგალო მართალო შხვა რე“**, პროექტის მიზანი იყო სამეგრელოსუცნობი და საინტერესო ადგილების პოპულარიზაცია, ინფორმაციის გავრცელება და მომავალში მათი გადაქცევა ტურისტულ ლოკაციად.

პროექტის ბოლოს **შეიქმნა ზუგდიდის ტურიზმის კლასტერი**, სადაც გაერთიანდა სამეგრელოს რეგიონში, კერძოდ ზუგდიდში მომუშავე 13 ტურისტული ობიექტი. ტურიზმის კლასტერმა შეიმუშავა სტრატეგიული გეგმა, შექმნა ვებ-გვერდი და ფეისბუქ გვერდი და დაამზადა სარეკლამო ვიდეო. კლასტერში ჩართულია აქტიური ადამიანები, რომლებიც მუშაობენ ახალ პროექტებზე და გეგმავენ საინტერესო საქმიანობებს სამეგრელოს რეგიონის ტურისტული პოტენციალის განვითარების მიზნით.

პროექტის ფარგლებში განხორციელებული დატვირთული, აქტიური და საინტერესო ღონისძიებების შესახებ ინფორმაციის გავრცელება სისტემატურად ხდებოდა რადიო „**ათინათის**“ეთერში. პროექტის ფარგლებში რადიოს ეთერში გავიდა სულ 17 გადაცემა. პროექტი დაფინანსებული იყო ევროკავშირის მიერ. პროექტის განმახორციელებელი ორგანიზაციები იყო: გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრი, საქართველოს ფერმერთა ასოციაცია, დემოკრატიის ინსტიტუტი, ასოციაცია „**ათინათი**“.

**პროექტის ბიუჯეტი:133121 ევრო.**
**განხორციელების ვადები: 01.09.2020 – 01.09.2023**



# წარმატების ისტორია

OFFICE@ATINATI.ORG

მე ვარ ნიკა ფიფია, 21 წლის, ვცხოვრობ წალენჯიხის მუნიციპალიტეტში, ქ.ჯვარში. ვსწავლობ ჯვარის პროფესიულ სასწავლებელში „ლაკადა“. მამის გარდაცვალების შემდეგ, დედა იტალიაში წავიდა სამუშაოდ. სახლში დავრჩით მე და ჩემი და. ჩვენი მოსავლელი გახდა ოჯახი და შიდა მეურნეობა.

მე ყოველთვის მიზიდავდა კერძების მომზადება და ამ კუთხით უდედობა ბევრად არ დაგვტყობია, თუმცა სხვა საოჯახო საქმეები არც თუ ისე ადვილია და შეძლებისდაგვარად ვართმევთ თავს.

ინტერნეტის მეშვეობით გავიგე ინფორმაცია, რომ „**ათინათი**“ ერთ-ერთი პროექტის ფარგლებში აცხადებდა შეგირდების შესარჩევ კონკურსს. ბევრი არ მიფიქრია, შევავსე სააპლიკაციო ფორმა და სულ ცოტა ხანში დამიბარეს გასაუბრებაზე. ეტყობა დადებითი შთაბეჭდილება მოვახდინე მათზე, რადგანაც გასაუბრების მეორე დღესვე მიმაბარეს ზუგდიდის გამორჩეულ ადგილას, ბოტანიკურ ბაღში არსებულ რესტორან „აქ დადიანში“ შეგირდად. ეს აღმოჩნდა ადგილი, სადაც მეც შევძელი ჩემი ცოდნის და ნიჭის გამოვლენა. ჩემი მენტორისა და რესტორნის სხვა თანამშრომლების დახმარებით ვისწავლე და დავეუფლე მზარეულობის პრინციპებსა და მის პატარა საიდუმლოებებს, შევიძინე ახალი მეგობრები, გავხდი უფრო სოციალური და გახსნილი.

შეგირდობის ერთთვიანი პროგრამის შემდეგ „აქ დადიანში“ შემომთავაზეს დარჩენა სამუშაოდ, რამაც ძალიან გამახარა.

**თუკი მკითხავთ რა არის ბედნიერება? გიპასუხებთ, რომ ბედნიერებაა როცა აკეთებ საყვარელ საქმეს!**

„**ათინათის**“შეგირდობის პროგრამამ შემმატა ცოდნა, პრაქტიკული უნარები და თვითდაჯერებულობა. მცირე ბიძგი, სწორი მიმართულების მიცემა და რწმენა რადიკალურად ცვლის ადამიანის ცხოვრებას. სწორედ ასე რადიკალურად, უკეთესობისკენ შეიცვალა ჩემი ცხოვრება!
მადლობა ყველას ვინც ამაში დამეხმარა: „ათინათს“, ჩემს მენტორს - იაგო ფასანძეს, რესტორან „აქ დადიანს“ და პროექტის დონორს -ევროკავშირს.

# პროექტი "ერთად მშვიდობისთვის"

OFFICE@ATINATI.ORG

„**ათინათის**"- გუნდმა 2023 წელს განახორციელა პროექტი **"ერთად მშვიდობისთვის**", რომლის მიზანი იყო მშვიდობის მშენებლობა, კონფლიქტების პრევენცია და დერადიკალიზაცია სამხრეთ კავკასიის რეგიონში.
პროექტის ფარგლებში ჩატარდა ტრენერთა ტრენინგები დაზუგდიდის მუნიციპალიტეტიდან გადამზადდა 6 ახალგაზრდა *Fairtogether*-ის ტრენერებად, რომლებმაც 4 ახალგაზრდულ ცენტრში ჩაატარეს 2-2 ორდღიანი ტრენინგები 60 ახალგაზრდასთან.

დაიგეგმა და განხორციელდა საზაფხულო ბანაკი. გამოცხადდება კონკურსი და სააპლიკაციო ფორმის დახმარებით შეირჩა საზაფხულო ბანაკის ფასილიტატორები და მონაწილე ახალგაზრდები. ზუგდიდიდან მონაწილეობა მიიღო 10-მა ახალგაზრდამ და გაემგზავრნენ ბორჯომში სასტუმრო „მზეთამზეში".
მშვიდობის საზაფხულო ბანაკის შემდეგ ახალგაზრდებმა განახორციელეს 2 საინტერესო ინიციატივა:

**1. ინიციატივების ფარგლებში შექმნეს მშვიდობის კედელი**, რომელიც ახალგაზრდებმა მხატვარ ნინო ქირიასთან ერთად მოხატეს. კედელი ძალიან ლამაზია და ახალგაზრდებისთვის ფოტოების გადაღების ადგილად გადაიქცა.

**2. მშვიდობის საზაფხულო ბანაკის ახალგაზრდებმა, „ათინათის" ახალგაზრდულ ცენტრთან ერთად მოინახულეს სოფ. რუხში მდებარე „24 საათიანი ზრუნვის ცენტრი**", სადაც 11 ხანდაზმული ცხოვრობს, მათ სხვადასხვა პროექტის დახმარებითა და საკუთარი სახსრებით, ცენტრს მიუტანეს საკვები, ჰიგიენის საშუალებები და ტანსაცმელი. ასევე ხანდაზმულებთან მოაწყვეს ვიქტორინა და კონცერტი.

აღნიშნული პროექტის შედეგად დამყარდა საინტერესო და საქმიანი კომუნიკაციები ქართველ, სომეხ და აზერბაიჯანელ ახალგაზრდებს შორის.

# „შესაძლებლობები უკეთესი მომავლისთვის“

რადიო „**ათინათის**“- გუნდმა 2023 წლის ოქტომბერი -2024 მაისის შუალედში განახორციელა პროექტი „შესაძლებლობები უკეთესი მომავლისთვის“ (*„An opportunity for better future*“ ).

**პროექტის მიზანი იყო** - კონფლიქტით დაზარალებულ, სამეგრელოს რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ჟურნალისტური უნარების ამაღლება მულტიმედიური პროდუქტის წარმოების განვითარებით. ასევე საზღვარგარეთ განათლების შესაძლებლობების შესახებ ახალგაზრდების ინფორმირება.

მიზნისა და ამოცანების მისაღწევად პროექტის ფარგლებში განხორციელდა სხვადასხვა აქტივობები;

- პროექტის ფარგლებში შეჩეულ მონაწილეებს ჩაუტარდათ ტრენინგები შემდეგ თემებზე: „ფოტო-ვიდეო გადაღება“, „ახალი ამბების წერა“, „სტატიის მომზადება“, „ამბის მულტიმედია თხრობა“ და „ვიდეო წარმოება“, ასევე კონფლიქტის მართვა და გუნდური მუშაობა.

- „**ათინათი**“-ს ჟურნალისტების მენტორობით, პროექტის თემის („წარმატების ისტორიები“) შესაბამისად პროექტის განმავლობაში ახალგაზრდა ჟურნალისტების მიერ გაკეთდა 13 მულტიმედია მასალა იმ ახალგაზრდებზე, რომლებმაც განათლება მიიღეს ევროპის ან ამერიკის სასწავლებლებში და აქვთ კარიერული წინსვლა. ყველა ეს მასალა ითარგმნა რუსულ ენაზე და ორივე ვერსია აიტვირთა რადიო „**ათინათი**“-ს ვებ-გვერდზე.

- პროექტის ფარგლებში, რადიო „**ათინათი**“-ს ეთერში, თვეში ორჯერ გადიოდა გადაცემა, რომლის რესპონდენტები იყვნენ იმ ორგანიზაციებისა და პროგრამების წარმომადგენლები, რომლებიც ახალგაზრდებს სთავაზობენ ფორმალურ და არაფორმალურ საგანმანათლებლო პროგრამებს საზღვარგარეთ. სულ გაკეთდა 13 გადაცემა. ყველა გადაცემა ითარგმნა რუსულ ენაზე და აიტვირთა რადიოს ვებ-გვერდზე.

- პროექტის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი აქტივობა იყო ქართველი და აფხაზი ახალგაზრდებისთვის ერთობლივი ტრენინგები ბაქოში. მასში მონაწილეობდნენ ხუთი აფხაზი და ხუთი ქართველი ახალგაზრდები. ტრენინგებს უძღვებოდნენ ქართველი, აფხაზი და აზერბაიჯანელი ტრენერები.

- პროექტის შედეგად, მონაწილეებმა აიმაღლეს ფოტო/ვიდეო რეპორტაჟისა და ჟურნალისტური სტატიის მოსამზადებლად საჭირო პროფესიული უნარები, ისწავლეს გუნდში მუშაობის პრინციპები. კონფლიქტით დაზარალებულ თემებში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის უფრო ხელმისაწვდომი გახდა ინფორმაცია ხარისხიანი განათლებისა და კარიერული წარმატების შესაძლებლობების შესახებ ევროპასა და აშშ-ში

**პროექტი განხორციელდა UN4D -ს პროგრამის ფარგლებში UNDP -ს ფინანსური მხარდაჭერით.**
**ბიუჯეტი-48 180 დოლარი**

OFFICE@ATINATI.ORG

## ვიკა უბილავა

ვიკა უბილავამ მონაწილეობა მიიღო რადიო „**ათინათი**“-ს პროექტის „*An opportunity for better future*“ ფარგლებში გამოცხადებულ კონკურსში და შეირჩა მონაწილედ. შესაბამისად მან სხვა მონაწილეებთან ერთად გაიარა ტრენინგები, რომელთა თემები იყო: „ფოტო-ვიდეო გადაღება“, „ახალი ამბების წერა“, „სტატიის მომზადება“, „ამბის მულტიმედია თხრობა“ და „ვიდეო წარმოება“.

ტრენინგების შემდეგ ის, ხუთი თვის განმავლობაში, ჩართული იყო პროექტის შესაბამისი შინაარსის ჟურნალისტური მასალების (მოკლე ვიდეო და მულტიმედიური სტატია) წარმოებაში, რაშიც მენტორობას „**ათინათი**“-ს ჟურნალისტი უწევდა. მასალების თემა იყო „**წარმატების ისტორიები**“. რესპონდენტები იყვნენ ახალგაზრდები სამეგრელოს რეგიონიდან, რომლებმაც განათლება მიიღეს ევროპის ან ამერიკის სასწავლებლებში და აქვთ კარიერული წინსვლა.

ვიკამ მონაწილეობა მიიღო ასევე ქართველი და აფხაზი ახალგაზრდებისთვის დაგეგმილ ერთობლივ ტრენინგში, რომელიც ჩატარდა ბაქოში. ტრენინგში მონაწილეობდნენ ხუთი აფხაზი და ხუთი ქართველი ახალგაზრდები. მონაწილეებმა უნარები აიმაღლეს მულტიმედიური მასალის დამზადებაში, ტექსტის შედგენაში მულტიმედიური მასალისთვის, ასევე დაეუფლნენ ტექსტის, ფოტოს, ვიდეოს და ხმის კომბინირებას.

ტრენინგს უძღვებოდნენ ქართველი, აფხაზი და აზერბაიჯანელი ტრენერები. ტრენინგებისა და მასტერკლასებზე მიღებული ცოდნის შედეგად ვიკამ გაიუმჯობესა ჟურნალისტური მასალების წარმოებისთვის საჭირო უნარები და მას დამოუკიდებლად შეუძლია ჟურნალისტური მასალების წარმოება. პროექტის დასრულების შემდეგ ვიკამ რადიო „**ათინათში**“- გაიარა ერთთვიანი სტაჟირება და აყვანილ იქნა ჟურნალისტის პოზიციაზე.